

დამატებითი კონკურსი მომსახურების შესყიდვაზე
ტრანსპორტირება
FSM-2022-05-02

სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში ეძებს კომპანიას, რომელიც უზრუნველყოფს სატრანსპორტო მომსახურებას თბილისში და მის ფარგლებს გარეთ (ტაქსით/სედანით), ფიზიკური პირებისთვის, სოლიდარობის ფონდ PL-ის სავსე საქმიანობის ფარგლებში.

მოთხოვნილი მომსახურება - ადგილობრივი სატრანსპორტო მომსახურება საქართველოში, დედაქალაქ თბილისის ფარგლებსა და მის გარეთ (საქართველოს ტერიტორიაზე) ფიზიკური პირებისთვის.

1. დაგეგმილი სამუშაოს მიზანს წარმოადგენს შემდეგი: (კანდიდატის პროფილი, რომელიც ეფუძნება დავალების თვისებურებას, პასუხისმგებლობის დონეს, ასევე სამუშაო პოზიციასთან დაკავშირებულ სხვა მოთხოვნებს)

კონკურსის წესით შერჩეული მომსახურების მომწოდებელი, სოლიდარობის ფონდის PL საქართველოში მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოფს სატრანსპორტო მომსახურებას, რ ტაქსით/სედანით საქართველოს მასშტაბით და დედაქალაქის საზღვრების ფარგლებში (თბილისი), რომელიც მოიცავს შემდეგს:

1.1 ტრანსპორტირება დედაქალაქის საზღვრების ფარგლებში (თბილისი) შემდეგი სახის სატრანსპორტო საშუალებით: ტაქსი/სედანი.

1.2 ტრანსპორტირება საქართველოს მასშტაბით (თბილისი გარეთ) შემდეგი სახის სატრანსპორტო საშუალებით: ტაქსი/სედანი.

1.3 საკურიერო მომსახურება დედაქალაქის ფარგლებში (თბილისი).

1.4 აეროპორტიდან ტაქსით გადაადგილება დედაქალაქის ფარგლებში (თბილისი) შემდეგი სატრანსპორტო საშუალებით: ტაქსი/სედანი

2. შესასრულებელი სამუშაოს ხანგრძლივობა:

2022 წლის 20 მაისიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე

3. შესასრულებელი სამუშაოს ადგილი(ები):

საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში (ძირითადად, მაგრამ არამხოლოდ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი) და დედაქალაქის საზღვრების ფარგლებში (თბილისი).

4. მინიმალური მოთხოვნები:

4.1. ავტომობილ(ებ)ი არ უნდა იყოს 12 წელზე მეტი ასაკის.

4.2. ავტომობილ(ებ)ი ხელმისაწვდომი უნდა იყოს 48 საათით ადრე შეტყობინებით (ტაქსის-სედანით/თბილისის ფარგლებს გარეთ და დაუყოვნებლივ (30 წუთამდე დროის მანძილზე) თბილისის ფარგლებში.

4.3. ტრანსპორტში არ უნდა იყოს დამონტაჟებული გაზი ან ალტერნატიული საწვავი.

4.4. ყველა მძღოლი უნდა ფლობდეს მართვის მოწმობას, რომელიც აქტიურია სამი წლის ან მეტი ვადით, მათ შორის უნდა ფლობდეს შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობას.

**მომსახურების მომწოდებლის მხრიდან ის შეთავაზება, რომელიც არ აკმაყოფილებს მინიმალურ კრიტერიუმებს, უარყოფილი იქნება ფორმალური მიზეზების გამო.*

5. ძირითადი პირობები:

5.1 მომსახურებისთვის განკუთვნილი ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება ხელმისაწვდომი უნდა იყოს სოლიდარობის ფონდის PL-ის წარმომადგენლებისათვის ინსპექტირებისა მიზნით, დანიშნულ ადგილსა და დროზე, რის შემდეგაც შემოწმდება შემდეგი:

5.1.ა ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს სუფთა და შესაბამისად კარგ მუშა მდგომარეობაში.

5.1.ბ ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება აღჭურვილი უნდა იყოს უსაფრთხოების ღვედებით როგორც მძღოლებისთვის, ასევე ყველა მგზავრისთვის.

5.1.გ ყველა ავტომობილი ყოველთვის უნდა გამოცხადდეს სასტარტო ადგილზე გამგზავრების შეთანხმებულ დროზე მინიმუმ 30 წუთით ადრე.

5.1.დ ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებას უნდა ჰქონდეს ბარგის განსათავსებელი ადგილი (მინიმუმ ერთი დიდი ჩემოდანი და ერთი ხელჩანთა).

5.1.ე მძღოლები, მოთხოვნისამებრ, უნდა საუბრობდნენ პოლონურ, ინგლისურ ან რუსულ ენებზე საკომუნიკაციო დონეზე.

5.1.ვ ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს დაზღვეული.

5.1.ზ ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს მარცხენა საჭით.

5.2. მანქანის დაზიანებასთან დაკავშირებული პრობლემის შემთხვევაში ავტომობილის შეცვლაზე რეაგირების დრო უნდა იყოს არაუმეტეს 30 წუთისა დედაქალაქის ფარგლებში, ხოლო ადეკვატური დრო საქართველოს მასშტაბით ავტომობილის მდებარეობიდან გამომდინარე.

5.3. სოლიდარობის ფონდს PL საქართველოში უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მკაფიოდ მონიშნოს ყველა სატრანსპორტო საშუალება თავისი ლოგოებით მომსახურების დროს (A4 ნიშნები საქარე მინებზე და it says “a bus” maybe it should be “a taxi” (Tamta) ტაქსის ორივე მხარეს).

5.4. მძღოლისა და პერსონალის კვებაზე სრული პასუხისმგებლობა უნდა აიღოს მხოლოდ კომპანია

5.5. მოთხოვნის შემთხვევაში ავტომობილის ფოტო უნდა იყოს წარდგენილი.

6. აპლიკანტის შერჩევის კრიტერიუმები (მაქსიმალური ქულა 100) საბოლოო სიისთვის

6.1. მომსახურების ფარგლები (18 ქულა)

6.1.ა - მომსახურების მომწოდებელს შეუძლია შეასრულოს ყველა დავალება დაგეგმილი სამუშაოების ფარგლებში (მ.1.1-მ.1.4) → 18 ქულა

6.1.ბ - მომსახურების მომწოდებელს შეუძლია შეასრულოს რამდენმე დავალება დაგეგმილი სამუშაოების ფარგლებში (მ.1.1-მ.1.4) → 4.5-11.5- ქულა

6.2 წარმოების წელი (10 ქულა)

6.2.ა - ავტომობილი(ები) არის არაუმეტეს 5 წლისა (წარმოების თარიღიდან) → 10 ქულა

6.2.ბ - ავტომობილი(ები) არის 6-12 წლის (წარმოების თარიღიდან) → 5 ქულა

6.2.გ - ავტომობილი(ები) არის 12 წელზე მეტი ასაკის (წარმოების თარიღიდან) არ განიხილება ფორმალური მიზეზების გამო.

6.3 ტექნიკური ინსპექტირება სოლიდარობის ფონდის PL საქართველოში მიერ (36 ქულა)

6.3.ა ავტომობილი აკმაყოფილებს ყველა იმ ძირითად მოთხოვნას, რომელიც მოცემულია ძირითადი პირობების პუნქტში (მ.5) განსაკუთრებული ყურადღებით მ. 5.1ა-5.1გ პუნქტებზე → 36 ქულა

6.3.ბ - ავტომობილი აკმაყოფილებს ზოგიერთს, მაგრამ არა ყველა ზოგად მოთხოვნებს, რომელიც ჩამოთვლილია ძირითად პირობებში (მ.5), განსაკუთრებული ყურადღებით მ. 5.1ა-5.1.გ → 6-30 ქულა

6.3.გ - ავტომობილი აკმაყოფილებს ერთზე ნაკლებ მოთხოვნას, რომელიც მოცემულია ძირითადი პირობების პუნქტში (მ.5). განსაკუთრებული ყურადღებით პ.5.1ა-დან პ.5.1.გ-ს ჩათვლით → 0 ქულა

6.4. ღირებულება -36 ქულა

შეფასება კრიტერიუმით „ღირებულება“ ეფუძნება შემდეგ ფორმულას თითოეული კატეგორიისთვის:

$$P = P_{min} / P_{of} \times 36 \text{ ქულა}$$

სადაც:

P_{min} - ყველაზე დაბალი შემოთავაზებულ ფასია

P_{of} - შემოთავაზებაში წარმოდგენილი ფასია

P - ღირებულების კრიტერიუმიდან გამომდინარე განხილული შემოთავაზებისთვის მინიჭებული ქულების რაოდენობა მრგვალდება სრულ რიცხვამდე.

*წონასწორული ფასისა და სხვა კატეგორიების შეფასება (მ.6.1- მ.6.3) არის 36%.

7. ინფორმაცია ღირებულების შესახებ

7.1 თანხა დაკონკრეტებული უნდა იყოს ლარში. თანხა უნდა მითითებული იყოს შემდეგ მნიშვნელობებში:

ა) 1 კილომეტრის ტარიფი დედაქალაქის ფარგლებში (ტაქსის/სედანის მომსახურებისთვის)

ბ) 1 კილომეტრის ტარიფი საქართველოს ფარგლებში (ტაქსის/სედანის მომსახურებისთვის)

გ) საკურიერო მომსახურების სერვისი 1 კილომეტრის ტარიფი .

დ) აეროპორტის მიმართულებით ერთი გზის ფიქსირებული ფასი (ტაქსის/სედანის მომსახურებისთვის).

7.2 ფასი უნდა მოიცავდეს ხელშემკვრელ ორგანოს მიერ გაწეული მომსახურების ყველა ხარჯს, რომელიც წარმოადგენს კონტრაქტორი მხარის მიერ შემოთავაზებული მომსახურების ნაწილს (გადასახადები, სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული და საპენსიო შენატანები) მათ შორის საქართველოში განთავსების ხარჯები, კვება, დაზღვევა, ადგილობრივი მოგზაურობა, კომპიუტერული აღჭურვილობა, ფიჭური კომუნიკაცია და პროგრამული უზრუნველყოფა (ვორდის პროცესორი, სფრედშითი და ფაუერ ფონთი).

7.3 ხელშემკვრელ ორგანოსა და კონტრაქტორს შორის ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, კონტრაქტორის საგადასახადო საცხოვრებელი ადგილისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ევროს მიმდინარე კურსის მიხედვით.

8. განაცხადი უნდა შეიცავდეს განაცხადის ფორმას (მიბმულ ფაილებს), ხელმოწერილს და დასკანირებულს PDF ფორმატში.

9. განაცხადის ჩაბარება

განაცხადი გამოგზავნილი უნდა იქნას 2022 წლის 13 მაისამდე, თბილისის დროით შუადღის 12:00 საათამდე, მისამართზე: georgiarep@solidarityfund.pl

10. პროცედურის შედეგის შესახებ ინფორმაცია გაიგზავნება განმცხადებლის მიერ მითითებულ ელ. ფოსტაზე და გამოქვეყნდება სოლიდარობის ფონდის PL_GEO Facebook-ზე <https://www.facebook.com/solidarityfund.ge>

11. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ განაცხადის შეტანით თქვენ თანახმა ხართ გაუზიაროთ განაცხადის შინაარსი სხვა განმცხადებლებს, (გარდა პერსონალური მონაცემებისა, რომლებიც ანონიმური იქნება) რომლებსაც შეუძლიათ შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნა სოლიდარობის ფონდ PL-ში.

12. სოლიდარობის ფონდი PL უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს, სამართლიან და კანონიერ მოპყრობას დასაქმებაში ყველა ადამიანს რასის, ფერის, რელიგიის, სქესის, ეროვნული წარმომავლობის, ასაკის, ინვალიდობის, პოლიტიკური კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, დაცული გენეტიკური ინფორმაციის ან სექსუალური ორიენტაციის გარეშე.

13. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წარდგენილ განაცხადებში მოცემული პერსონალური მონაცემების ადმინისტრატორია სოლიდარობის ფონდი PL, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს ვარშავაში, ქუჩა Mysłowicka 4, 01-612 ვარშავა. მონაცემები დამუშავდება მე-6 მუხლის 1 გ პუნქტის საფუძველზე პერსონალური მონაცემების დაცვის პოლონეთის კანონის შესახებ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურასთან დაკავშირებული მიზნებისათვის. თქვენ გაქვთ მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება, პერსონალური მონაცემების გასწორების უფლება და უფლება მოითხოვოთ ადმინისტრატორს პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა, რომელიც ექვემდებარება კანონის 18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს. თქვენ გაქვთ უფლება, საჩივრით მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფისის პრეზიდენტს. გაცნობებთ, რომ სოლიდარობის ფონდმა PL დანიშნა პერსონალური მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, რომელსაც შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ მისამართზე: iod@solidarityfund.pl